



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 28

ქ. თბილისი

25/01/2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსისა და ამავე სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ და „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტის) ტერიტორიული ორგანოს - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსს და ამავე სამსახურის საჯარო მოხელეებს დაევალოთ :

ა) დასავლეთ საქართველოში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შესაბამისი საგზაო სამუშაოების განხორციელებისათვის სამშენებლო მოედნის გამოთავისუფლებისა და სამუშაოების დროულად დაწყების მიზნით, განსახლების პროცედურების კოორდინაცია და მხარდაჭერა;

ბ) დასავლეთ საქართველოში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე განსახორციელებელი/ განხორციელებული საგზაო სამუშაოების მონიტორინგის კოორდინაცია;

გ) დასავლეთ საქართველოში დეპარტამენტის დაკვეთით, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარე შესაბამისი საგზაო სამუშაოების დადგენილ ვადებში განხორციელების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების თაობაზე წინადადებების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის წარდგენა, დეპარტამენტის მიერ დასახული ღონისძიებების მხარდაჭერა და კოორდინაცია.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

